სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის N2 საჯარო სკოლა

მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი

მუხლი N1. ზოგადი დებულებები

1) აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერ მექანიზმს.
2) აღნიშნული მექანიზმი ვრცელდება სკოლის ყველა მოსწავლეზე სასწავლო და სამუშაო პროცესში

მუხლი N2. მოსწავლის ინიციატივის მხარდამჭერი მექანიზმის აღწერები

1) მოსწავლეს უფლება აქვს კანონმდებლობის დადგენილი წესით, წერილობით ან/და ზეპირად გამოხატოს საკუთარი აზრი და გამოიჩინოს ინიციატივა.
2) მოსწავლეს ან/და მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფს შეუძლია ინიციატივით მიმართოს სკოლის მოსწავლეთა თვითმართველობას/კლასის დამრიგებელს/დირექციას და ჩაერთოს ინიციატივის განხილვის პროცესში.

3) მოსწავლეთა თვითმართველობა ან/და კლასის დამრიგებელი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს მოსწავლის ან/და მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფის ინიციატივას და მიმართოს სკოლის დირექციას.
4) სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართებლივი აქტის საფუძველზე მოსწავლის ან/და მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფის ინიციატივების მხარდასაჭერად შესაძლებელია შეიქმნას:
   4.1 მოსწავლეთა ინიციატივების განხილვისა და განხორციელების მხარდამჭერი ჯგუფი.
   4.2 მოსწავლეთა ინიციატივების განხორციელების პროცესისა და შედეგების მონიტორინგის ჯგუფი.

5) მოსწავლეთა ინიციატივების განსახორციელებლად სკოლას შეუძლია ფინანსური რესურსების მობილიზება.

6) მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური სამუშაო სივრცის მოწყობასა და საინფორმაციო კანპანიას.

7) მოსწავლეთა ინიციატივების განხილვა-განხორციელებისას დაშვებულია,რომელიმე მოსწავლის დისკრიმინაცია ან ნებისმიერი ქმედება,რომელიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება მოსწავლის უფლება - ვალდებულებების შეზღუდვას.

8) კანონმდებლობით დადგენილი წესით სკოლა უფლებამოსილია შეიძინოს და განკარგოს ნებისმიერი რესურსი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინიციატივების განხორციელებას.

9) ნებისმიერ მოსწავლეს აქვს უფლება ღიად ისაუბროს საკუთარი ინიციატივის შესახებ და აღნიშნული მექანიზმის საფუძველზე განსახილველად წარადგინოს საკუთარი სამომავლო ხედვა.

10) ნებისმიერი მოსწავლე უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივის მხარდაჭერისა და განხორციელების მიზნით ითანამშრომლოს სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრთან.

მუხლი N 3. პასუხისმგებლობა

1) წინამდებარე მექანიზმის სრულად დაცვის მიზნით გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებათ:

1.1 მოსწავლეს
1.2 მოსწავლეთა თვითმართველობას
1.3 სკოლის დირექციას
1.4 კლასის დამრიგებელს

2) აღნიშნულ დოკუმენტში შეტანილმა ნებისმიერმა ცვლილებამ არ უნდა გამოიწვიოს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის რაიმე სახით შეზღუდვა.
3) ,,მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერ მექანიზზმს“ ამტკიცებს სკოლის დირექტორი შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.
4) აღნიშნულ დოკუმენტში ნებისმიერი ცვლილებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია ამავე მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე.